სტატიის გაფორმების წესი და ტექსტის ფორმატი:

სტატიის ენა - ქართული;

სტატიის სრული ტექსტი ქართულ ენაზე და მისი მოკლე რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

მინდორი: ზევით-ქვევით-მარჯვნივ - 2 სმ; მარცხნივ - 2,5 სმ.

შრიფტი - ქართული ტექსტისათვის - უნიკოდი (Sylfaen); ინგლისური ტექსტისათვის- Times New Roman

შრიფტის ზომა -11;

სტრიქონებს შორის მანძილი -1.2;

გვერდების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია:

სტატიის სახელწოდება (ცენტრირებული, Bold, შრიფტის ზომა 12);

მონაცემები ავტორის (თითოეული თანაავტორის) შესახებ:

ავტორის (ავტორების) სახელი, გვარი (შრიფტის ზომა 11);

მოკლე ანოტაცია ქართულ ენაზე (შრიფტის ზომა 11); ანოტაცია არ უნდა შეიცავდეს ციტატებს გამოყენებული ლიტერატურიდან და/ან ნახაზებს, სქემებს, ფოტოებს, ილუსტრაციებს, ცხრილებს.

საკვანძო სიტყვები - არაუმეტეს ხუთისა (შრიფტის ზომა 11);

სტატიის ძირითადი ნაწილი - (შრიფტის ზომა 11);

თუ სტატია შეიცავს ნახაზებს, ნახატებს, სქემებს, ფოტოებს, ილუსტრაციებს, ცხრილებს, აუცილებელია:

ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები მოცემული იყოს შესაბამისი ტექსტის ქვეშ ან მომდევნო გვერდზე;

ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები დაინომროს არაბული ციფრებით;

თუ ტექსტში მოცემულია მხოლოდ ერთი ილუსტრაცია, იგი არ ინომრება;

საჭიროების შემთხვევაში ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები შეიძლება დასათაურდეს და/ან დაერთოს მცირე განმარტება იქვე, მასალის სათაურის ქვემოთ;

ჟურნალში შემოსული სტატიები სარეცენზიოდ გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტებს.

საერთაშორისო ეთიკის ნორმების გათვალისწინებით ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

სტატია გამოქვეყნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დადებითად შეაფასებენ ექსპერტები.

ავტორი ვალდებულია, მიუთითოს ელექტრონული ფოსტის ის მისამართი, რომელსაც იგი სისტემატურად ამოწმებს და რომლის საშუალებითაც უმოკლეს დროში იქნება შესაძლებელი მასთან დაკავშირება.

ციტირების სტილი

ლიტერატურის სია უნდა შედგეს მხოლოდ ტექსტში მითითებული წყაროებისაგან - მათი დასახელების რიგითობის მიხედვით.

ლიტერატურის შიდატექსტური დამოწმება სრულდება შემდეგნაირად:

ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით კვადრატულ ფრჩხილებში შემდეგი სახით [3.გვ.21], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა.

წყაროებს ასევე მიუთითებთ ნაშრომის ბოლოს ბიბლიოგრაფიაში / გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში. ეს ჩამონათვალი, ჩვეულებრივ, მოიცავს თითოეულ წყაროს, რომელიც მითითებულია ტექსტში. ბიბლიოგრაფიაში მითითებული თითოეული ერთეული შემდეგი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი:

ჩიქობავა, არნოლდ. 1965. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია: სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბილისი: განათლება.

გერზმავა, ოთარ. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის, მეოთხე შესწორებული და განახლებული გამოცემა, თბილისის, 2008 წ.

Johns, Adrian. The Nature of The book: Print and Knowledge in Making. Chicago: University of Chicago Press. 1998

ნებისმიერი ინტერნეტ წყაროს მითითებისას დაურთეთ ამ წყაროზე უკანასკნელად წვდომის თარიღი. წვდომის თარიღი მიუთითეთ URL მისამართის ან მუდმივი იდენტიფიკატორის შემდეგ და ჩასვით ფრჩხილებში.

მაგ.: (17.06.2006) (წვდომის თარიღი 2006 წლის 17 მაისი). (accessed May 17, 2006)

Julian Samora, and Patricia Vandel Simon, A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000), under "Civil War in mexico," http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six (19.12.2005).